ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე №60-7-114-647

ქ.თბილისი 03.11 2014წ.

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2014 წლის 03 ნოემბერს, ერთის მხრივ სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით, შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას გაუწიოს "შემსყიდველს" სხვადასხვა დასახელების ხელსაწყოების დამოწმება/დაკალიბრების მომსახურება.
2.2. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

III. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **3776 (სამიათას შვიდას სამოცდათექვსმეტი)** ლარს (შემდგომში –"ხელშეკრულების ღირებულება").
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
3.3. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.
4.3. "მიმწოდებელი" მომსახურებას ასრულებს "შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრული მოცულობის შესაბამისად.
4.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.
4.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა

“შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.
4.6 “მიმწოდებელი” ვალდებულია ხელსაწყოების დამოწმება/დაკალიბრების მომსახურება განახორციელოს არსებული კანონმდებლობის და წესების დაცვით.
4.7 დამოწმება/დაკალიბრების დასრულების შემდეგ “მიმწოდებელი” ვალდებულია გასცეს შესაბამისი სერთიფიკატი. „მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია სერთიფიკატით გათვალისწინებული მონაცემების სისწორეზე.

V. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევის ვადაა: დანართი #1–ით (გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა) განსაზღვრული პირველი პოზიციიდან მე–7 პოზიციის ჩათვლით– “შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებიდან და დასამოწმებელი/დასაკალიბრებელი 1 (ერთი) ერთეული ხელსაწყოს „მიმწოდებლის“ ლაბორატორიაში მიტანიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ #67.
5.2 დანართი #1–ის (გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა) მე–8 პოზიციისათვის მომსახურება უნდა განხორციელდეს „შემსყიდველის“ ქიმიურ ლაბორატორიაში, „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მისამართზე: ქ. თბილისი, ნაკადულის #2.

VI. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1„მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების დაგვიანებით გაწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხარისხიანი მომსახურების სრულად გაწევის დღემდე.
6.2 „მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების არასრულად, ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე.
6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.
6.4. “შემსყიდველი” უფლებამოსილია გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა.
6.5 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით გადახდის შემთხვევაში, „შემსყიდველი“მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.
6.6 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არშესყიდვის შემთხვევაში “შემსყიდველს” პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

VII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 “შემსყიდველს” ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის” მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს “შემსყიდველის” მხრიდან უზრუნველყოფს სსე–ს ქიმიური განყოფილების უფროსი ნანა ყიასაშვილი და დიაგნოსტიკის სამსახურის უფროსი ალექსანდრე ნოზაძე.
7.3 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

VIII. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურების მიხედვით შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.
8.2 მომსახურების მიწოდებისას “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან, ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ,,შემსყიდველსა“ და ,,მიმწოდებელს“ შორის.
8.3 გაწეული მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების (წუნდების) შემთხვევაში ,,შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს ,,მიმწოდებელს“ სათანადო ხარვეზების შესახებ (წუნდების არსი).
8.4 ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში “მიმწოდებელი” ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი.
8.5 მომსახურების დასრულება გაფორმდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

IX. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ საბუთად მხარეები განიხილავენ შესაბამისი სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.
10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:
11.2.1. მხარეთა შეთანხმებით;
11.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;
11.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:
11.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2. “მიმწოდებლის” გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც „შემსყიდველის“ მხრიდან მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს იწვევს;
11.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
11.5 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIII. დავათა განხილვა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31იანვრის ჩათვლით.

XV. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფედენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15.5 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2013 წლის 7 მარტის საქართველოს მთავრობის #53 დადგენილებით დამტკიცებული სს „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემის“ მიერ ელექტროენერგიის გადაცემა–დისპეტჩერიზაციის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

XVI. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. №2
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
საიდ. კოდი: 204995176
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის GE56BG0000000283534100

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი

“მიმწოდებელი”:

სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“

თბილისი, ჩარგლის ქ#67
საიდ.კოდი 200162224
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიში GE50BG0000000119413700

დავით ტყემალაძე

გენერალური დირექტორი

დანართი #1
გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

	დასამოწმებელი/დასაკალიბრებელი ხელსაწყოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი
1	მეგაომმეტრი ტიპი: M6 ქვეყანა: რუსეთი გამოშვების წელი: 2009	ცალი	4	47	188
2	მეგაომმეტრი FLUKE ტიპი: 1550B ქვეყანა: ა.შ.შ გამოშვების წელი:არ იკითხება	ცალი	8	47	376
3	გამრღვევი ძაბვის გამსაზღვრელი ხელსაწყო ტიპი: УИМ-90 ქვეყანა: უკრაინა გამოშვების წელი:2011 მილიამპერმეტრი ტიპი: M 903	ცალი	1	108	108
4	ზეთის გამრღვევის ტიპი: АИМ-90 ქვეყანა: რუსეთი გამოშვების წელი:1990 მილიამპერმეტრი ტიპი: M 903	ცალი	1	108	108
5	გამრღვევი ძაბვის გამსაზღვრელი ხელსაწყო ტიპი: АИМ-90 ქვეყანა: უკრაინა გამოშვების წელი:2011 მილიამპერმეტრი ტიპი: M 903	ცალი	2	108	216

6	ცვლადი დენის ბოგირი ტიპი: CA 7100-3 ქვეყანა: უკრაინა გამოშვების წელი:2008	ცალი	4	584	2336
7	ფეთქვის ტემპერატურის განმსაზღვრელი ხელსაწყო ტიპი: ПВНЭ (რუსეთი) გამოშვების წელი - 1979 წ.	ცალი	2	45	90
8	ტრანსფორმატორის ზეთის დიელექტრიკული კარგვის კუთხის განმსაზღვრელი ავტომატიზირებული დანადგარი ტიპი: ТАГЕНС - 3М (უკრაინა) გამოშვების წელი - 10/2008 წ.	ცალი	2	177	354
	საერთო ღირებულება დღგ–ს ჩათვლით				3776

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 3776 (სამიათას შვიდას სამოცდათექვსმეტი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

შემსყიდველი”:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი

“მიმწოდებელი”:
სსიპ „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“

დავით ტყემალაძე

გენერალური დირექტორი